


„ძმა ძმისთვისა, ამ დღისთვისა“

№
56

1921 წ.
იანვრის 16



კობე. რა მიგაქვს, ვანო, ამ გოდრით?

ვანო. სიმინდი.


კობე. სად მიგაქვს, ბიჭო?

ვანო. თუმშა. ჩემი ძმა ჯარშია. სურსათი სჭირდა. ძმა ძმისთვისა, ამ დღისთვისა.

ფრთხილათ, ქართველო!

ნერწყვ მოდენილი!
 კბილ დაღრქენილი!
 როგორც მშიერი, მსუნაგი მგლები,
 გარე გვარტყიან,
 ძმაო ქართველო,
 შურით აღსაგეს ჩვენ მეზობლები.
 სხვა და სხვა ტომის,
 სხვა და სხვა რჯულის!
 ერთად,— „კომუნისტ-ბოლშევიკები“.
 იბღვირებიან!
 იგინებიან!
 იბერებიან, როგორც ტიკები,
 მადა მოსულნი!
 კოდვით ორსულნი!
 მუხანათობით, ღალატით ხშირი...
 დღეს ზავს შეპყრავენ!
 ხეალ წიხლს წაპყრავენ!
 იმათ ნაეთი აქვთ, ჩვენ, კი ნახშირი!
 „საკომუნისტო“
 საბრძანებელში
 ჩანთქეს, რაც მოხვდათ ჩასასანსლავი!
 სამი ქვეყანა
 ჩვენად მეზობლად
 უდაბურია, როგორც საფლავი!
 დღეს, მტაცებლური
 იმათი კლანქი
 შენ გითვალთვალეგს, ძმაო ქართველო,
 და თუ აქამდე
 ვერ მორწყო სისხლით
 შენი ღამაზი სამშობლოს მდელო,
 იცი ვინ არის
 ამის მიზეზი??
 შენი გვარდია!! შენივე ჯარი!!!
 ისინი სდგანან
 ამ ზამთრის სუსხში
 სადარაჯოზე, ვით კლდის საფარი!
 იგი სდარაჯობს
 შენ კარ-მიღამოს,
 დიდთა უდიდეს შენს მონაპოვარს:
 თავისუფლებას!
 თანასწორობას!

შენს ბაღს, შენს ყანას, მინდორს, საძოვარს
 იგი სდარაჯობს
 შენს დედას, კოლ-შვილს,
 ქირისუფლებზე შენსაზე ზრუნავს;
 ის იქ ეცემა
 გულ განგმირული...
 მისი სიკვდილით შენს სიკვდილს თბგუნავს!
 და... რომ შეირყეს
 რკინის კედელი
 ქართველი ჯარის და გვარდიისა...
 მკვდარი გვამები
 მოჰფენენ მდელოს
 საგაზაფხულო ნაცვლად იისა.
 შენი სახლ-კარი
 ცეცხლს მიეცემა,
 შენი ღოვლათი იმ მძარცველ მგლებსა,
 იქ, ჩვენი ქვეყნის
 სანაპიროზე
 რომ დარაზმულან... ჩვენ მეზობლებსა!!!
 გაიძარცვები,
 ისე, ვით სხვები
 აღრეხან ბაქო, დღეს ერევანი;
 კომუნისტურად
 მოინათლები
 „კუკურე“ ქული და მისი ჯანი.
 კვლავ დაგადგამენ
 მონობის უღელს,
 უხეში ჩექმა ჩაგწიხლავს, ძამო!
 გაპქრება შენი
 თავისუფლება,
 ჩაგიმწარდება ყოფნა საამო.
 ფრთხილად, ქართველო!!!
 ჯარს და გვარდიას
 აღერსი ძმური! ძმური უღლუფა!
 თუ გინდა დარჩე
 თავისუფალი!!!
 თუ გინდა შეგერჩეს სამშობლო ტურფა!
 ხახა გამშრალი!
 კბილ დაღრქენილი!
 როგორც მშიერი, მსუნაგი მგლები,
 გარე არტყია
 სამშობლო მხარეს
 მოსაზღვრე ჩვენი, ძმავ, მეზობლები.



კარგი სიზმარი

ეს ამბავი სულ ესღა ხან მოხდა, რადგან ორი თვის წინაა.

კირილე ქურჩელაშვილი (ჩვენი აკინოეს დეიძლი ბაძა, ექვთიმე ხუციშვილი რომ შარშანწინ ანაფორის კლთა ჩამოსხა ნათლობაში) სიძინდს აჩვენებს.




— რაცხა ხუთასი ტარო დამინა გასარჩევი და გათვდა, — ჭეჭეჭობდა კირილე: მადლობა დმურთს, რომ ნაკვდავ — ნაწვევადგმა ტყულა არ ჩამიარა: სიტყვსლე გაქვს, თვალი დაუუყვნო ჩემ შეზობლებს! მე შაჯობებს ჭეჭით გლახა ოქრონირა? ვითომ, დიდი ქვეყნის ერთგული კაცი ვარო, რაცხა ხუთი ტარო სიძინდი მოუყიდა და, ამ ხუთ ტაროში ნახევარი მთავრობას მიაწვდა! მე, ჩემო ბაძა, სიმოწალოდ გასაცემო სარხო საბადებელი ვინ მომცა? მთავრობა უჩემოთაც კარგათ მოაწვობს საქმეს. სიღული კი არა ვარ, კაი და ჯეი რომ ვერ გავარხიო: რა ზიარობაში მივცე მთავრობას, თუ ის კაცი ორჯერ მეტ ფასს მძღუკს? ერთ ტაროსაც ვერ წვილებს ჩემგან მთავრობა! სხეულებს — მკაულებს მე არ ვაძიო! ვინც უკეთეს ფასს მძღუკს, იმს წაიღოს! საქმე გათავუიულია: სდაცაა მთავ ტომრებით და წაიღებს...


ამ ფიქრებში კირილეს სიფიქსლემ უმტყუნს და შეუმჩნეველად ჩაქინს.



ვნახიო, უნებ ტაროებს რადგან შროდა დიწკეს და ამომრადგენ. შემდეგ ერთბაშად ჩეზე წამოცვივლენ.



— ჰგა შავსო! დასძახეს უცებ ტაროებმა და იერშით წამოვიდნენ კირილეესკენ. ზოგი თავზე აცთვდა, ზოგმა კალთის წვეს დაუწვეეს, ზოგი ზურგზე შეაჭადა და დაუწვეეს უწვადოდ ჩემუტა და დიტინი. კარგა რომ იფერეს გულა, ჩამოიბრდნენ და...



... ჯარით ჩამწერიდნენ სამხედრო რაზმის ყაიდაზე. ერთმა მთავარმა რაზმის უფროსობა იკისრა. — ახსნაკობა!. დასძახა მან: ჩვენი პატრონი — კირილე ქურჩელაშვილი ვილაც სწეკუდიანტზე გვეყადის ჩვენ, პატროსან სიმინდებს! დაუშტკიტოთ ამ ვაჟბატონს, რომ მან თუ არა, ჩვენ მაინც ვაძიეთ მოვალეობის შესრულება. სმე-უნა! ნაბიჯით წინ... წა! და სიმინდების მწეობრი ერთი კაცივით დააძრა თავის მინისტრისკენ.




მომსახურების მინისტრმა დიდას ზეივით მიიღო ქვეშევრდომები: ნესვის ტახტზე იჯდა და უკვლავ თავისი რეკლამები ზედზე წქედდა: მარჯვენა ხელში ეჭირა მშვენიერი კომპოსიტის თაფი, მარცხენაში სკიპტრა კატრის, ტუფზე კვიდას საუცხოო ბოლავი ღობის ძეწვეზე ჩამომული, თავს გოგონის გვირგვინი უმშვენიერდა ერთგული მსახური სტაფილო გულ-მოდგინით და მოწიწებით უგრძობდა ჰერს ზურის აფთავეებით.

რასმის უფროსის მოხსენება რომ მოისმინა, მინისტრმა ბრძანა:

— მიიღეთ, ბატონო ტარბო, ჩემი გულითადი მადლობა ამ ჭეშმარიტად მამულიაშვილურის საქციელისთვის, რომელიც თქვენ ჩავიდინათ. თქვენი უთფილი უღირსი ზატრონი კირალე ქურჩელაშვილი დაისრუბა კანონის ძალით, ხოლო თქვენ, როგორც შეგნებულნი და ახელადებულნი სიმინდები, გამომირჩევასათ სხვა თქვენს ამ ხანაკებში: ამიტომ მე თქვენ არ გკადრებ ძველს და ჭუჭუიან ტომრებში ჩაყრას. ეს თქვენი შერაცხვა იქნებოდა: წადით ზირდაზირ ფრანტზე, სწორედ ისე, როგორც ჩემთან მოხვედით და გახხრეთ ჩვენი უარა და გკადრია.

გაისმა ერთსულოვანი ძლიერი „უაჰა“ სიმინდების და ლაშქარი ფრანტისკენ დაიძრა.



— შიბტათ, ჩეში სიმინდი! — ბრძანა სნეკუღიანტმა.
 — მიბძქეთ ერთი ის ტომარა, ხელში რამე გიჭირაფთ, და ახლავე მოგართმევთ. — უნასუნეს მამა-შვილმა.



გამოართმევს ტომარა, ჩაუშევს შიგ უირამადა ბატონი სნეკუღიანტი და მგრათ მოუვრეს თავი.



სიშინდი სამსუდრო ფრანტისკენ წავიდა.
სწვეკუდინტაზი ტამარა კი — შრომის ფრანტზე მათრასეს, ვარაიაზში.

ხ ა ლ ს ყ რ ი.

I.

„არასოდეს არ გახმვბა წყალოა შუა ხეია ძირი!
არასოდეს არ ცხონდება:
კრიყანგი

და

პურა-ძვირი.

(თუ კრიყანგი ცხონდებოდეს, სამოთხეში შვევა ვირი)“

P. S. როცა შტერი გვახვევია, მუხანათი და ღუხჭირი.
როცა სამტროდ ჩამოწოლილს დაუღია ვეშაპს პირი,
კრიყანგებს და პურაძვირებს
დიდიც არის ერქვას ვირი.

II.

ხალხს უთქვამს დარბაისელსა:

„მუცელს აქორებ,— ქორია“

კვლავმცა აღორებ ღორულად
მუცელი იგი,—ლორია!“

P. S. ესე თქმულება დედანთან

სიტყვით სიტყვათმდე სწორია:

პირველის მიმდევარობა

ვაჰმე რა დიდი ზორია!!

სამაგიეროდ მეორე

ოცთაგან, ოცდა ორია.


III

„კაცი მოკვდა პურა-ძვირი; წაახვევენ ტილოსაო,

მოსთხრიან და ჩააწვენენ;—ემანდ ვგდგ, შეილოსაო!


ვინც შენდობს შემოუთელის, ღმერთმა შეარცხვინოსაო“.

„ქ უ რ დ ი“



შვილი. მამა! სულ რომ შენ ინახე წლებადღე ჭარხახულს, მთაფრობას ეი არ უნდა მიჭვიდო ჩვენი ვარს და გვარდიისათვის?


მამა. შენ ემხნდ ეგდე! შენი საქმე არ არის. მთაფრობა ზირაქეთ უნდა მსდევდეს, თორე მე რა უნდა მივდე?



მამა. ბიჭოსი ვინ თხერი ეოფილა აქა! ვის უცოდვილია ამ თრმისთან? ერთი დაეუდარავო!




მამა. დასწყევლოს ღმერთმა! ჩემი შუადი შადის გადართ! ეს რას ნაშნავს? ხუ თუ ეს იანრავს? უნახთ რას იკავს?



— ამოთხარა!



— გულდრში ჭერის!



— წაიღო! ღაიჭა, ღაიჭა! კვალ და კვალ გაუფხვები და უმუღაფურს გაუბებ... მისგან გაუურებიხუ სუიანს!




— სად მიჰქვს ამ სიშორეზე? მე მუხლები შეგეცნობა ისე დავიდალე და ეს სიძაგელი ჩიტოვით მიფრინავს! მაგ თუახქონს დელა არა ჭეოლას ქურდი და მამა!.. რა დმერთი გაუწერა?



მამა. (ხის უკან) დმერთო, შენ შემიწვალე! ამის რას ჭეხედავ! ფორტზე მიიტანა. აი, გადსვტა კიდეც ჯარის კაცს. ჩუ! რადაცას უეზნება.

შვილი. (ჯარის კაცს) აი, ძია! ეს ერთი გოდორი სიშინდი, მოგიტანე! მამამ გამოგიგზავნა! ასე შემოგი-თვალა უველას, თქვენ არხეინათ იუაფით, მტერს მტრულათ დაუხვდით და მოფერთა ჩვენი საქმე იუასო. ესლას ეს იგზარე და კვლავ კიდეც სხვა იუასო!

მამა. დმერთო ჩემო, ეს რა სიტყვები შესმის! სად და გამოფეო თავი სირცხვილით! ესლას კი ვიცი, რაც უნდა ვქნა!



მამა. (ფეხ ქვეშ ჩაუფარდება ჯარის კაცსა და შეიღოს) მაშტივეთ! შემიღეთ! ბრმა ეიფე და თვალი ამე-
ნიდა, ერთ ეიფე და ფურთა სმენა გამესხნა! ესლა ვიტი, რაც უნდა ფუთა ჩემს სიამინდს. შხამად შეშერგოს, თუ
ერთი ლექმა ჩაეიდო ზარში, ვიდრე ფრანტისათვის არ გადაედებ სეჭირთ ნაწილს!

შექანჯღაღებულის ლექსები.

ჰა...ჰა, ჰა... რაღაც მაცივებს...
რამ ამირია დავთარი?!
თარზე მსურს დავალიდინო.—
მოდო, დაუკარ დავ, თარი!!

საოკარ ლექსებს დავამდერ,
სიმნი შემიწყვე დურათა;
გეტყვიტ რამ შემაქანჯალა,
ჰკუაზე შეეცდი თუ რადა.

თქვენ აღბათ ძლიერ გავკვირებთ
მე რომ გოგრაში მაკლია,—
—რავექნა, ძმავე, ისე ვერ გითხარ
შენი ცოდვები; ნაკლია.

აბა, ჰე, თარო დაუკარ,
ვინძლო სიმები შემიწყო,
მინდა რაც ტენში მრქენს და მკებნს
ერთობ ქვეყანას ვაუწყო:

დათვები აღის აღვაზე,
ველარ უძღებენ ტოტები,
ჩენს ირგვლივ კიდე დაძრწიან
მგლები, სვავები, კოტები.

ჰა, ჰა, ჰა... საცივს უხდება
ნიგვზის წვენი და ქინძები,

სახლვრებზე როგორ მომდგარან
მშიერი მამლაყინწები...

შენ რომ ჩურჩხელია მაქამე,
რა ტკბილი იყო. ბიცოლა!
ციხე შიგნიდან არ გატყდა,
გარედან უწყეს მიწოლა..

ციხეს შიგნიდან ვერ გატებთ,
და ვერც გარედან აიღებთ,
ნეტავი, ნისკარტწითლებო,
შარზე ხელს როდის აიღებთ.

ძვალი რომ გადმოისროლე—
—იგი ჩემ ძალშია გატყვირა,
არც გემო ჰქონდა, არც ქონი,
მურიაც ვერ გააკვირვა..

აბა, ჰე, სახლვრებს გვავლეთ
სვავებო ხაზი, მწკრივები...
იქ გიღარაჯებთ, იცოდეთ,
ბასრ ბჭყალა მძღვე არწივები.

ჩვენით გაძღომას თუ ფიქრობთ,
დაგიწვრილდებათ წელეები,
ჰილ-ყვავენი ყანას რას აწყენს,
თუ რომ ყავს კარგი მცველები.

ჩვენც ვენაცვალოთ ჩვენს გმირებს,
ჩვენს აშაყს, ფიზიკელს მცველებსა,
ზურგი უმაგროთ, რომ თავი
სულ დაუქეპყონ გველებსა.

ჩვენი ფიქრი და ოცნება
გმირნო, თქვენ ვიკავშირდება,
ალარ მოგაკლებთ ზრუნავსა,
სხვა რითი გაგიჭირდება.

ვინც ჩვენთვის სწორავს სიკაცხლეს,
მრავალჯერ ჰირნახულია,
შევრცხვეთ, თუ მათთვის შეგვმურდეს
სოფლებს ჰირნახულია.

პური, ქერით და სიმინდით
ვაგონი დაიტვირთება,
არ მოგაშვივებთ ჩვენს მხედრებს,
მტერს ღვდა აუტირდება.

პური, ქერით და სიმინდით
მაგრა დაეტენით ტომრებსა,
თუნდ ჩვენი ზურგით მიუტანთ
ჩვენს მამაც, გმირს, მეომრებსა.

წავუღებ... თვალებს მოვალხენ
მათ სივარდის ნახვითა!
გოდრებს დავტენი, არა მშურს,
კომბოსტოთი და ხახვითა.

მეც მომენატრა იმითთან
ღვინო ვსეა, დავილილინო...
რუმბებს ავავსებ პირამდის,
რომ არ მოაკლდეთ მათ ღვინო...

თანაც გოდორზე დავაკრავ,
ინდაჭრს, ხაჭაპურებსა.
რომ ჩვენ ბიჭების ზვიმზე
ნერწყვი სდიოდეთ ტურებსა.

თუნდაც მარტამდე არ მიმყვეს
ხორბალი,— ჰირნახულია,
არ დავიშურებ, გენაცვათ,
არ დამეწვება გულია.

პური, ქერით და სიმინდით,
ლომით და კარტოფილებით,
დაეტენით ტომრებს პირამდის,
ზოგს ხორბლით, ზოგსაც ფქვილებით.

და როგორც თქვენა, ტომრებიც
იმ რიგად დარაზმულია,
სოფლიდან თქვენსკენ გამოსწევს
სიამით ფრთებ შესხმულია...

იმხიარულეთ, ილხინეთ,
გალაღლით, გახლით მდევებათ,
და მტერს, თუ ზურგი აქვადეს,
შეუბრალებლად შევებათ.

ჩვენ-ჩვენი საქმე, თქვენ-თქვენი
ვაკეთოთ ძმავ ერთგულადა.
მოყვარეს მოყვარად გაუხვდეთ,
და მტრებს ვეკვეთოდ მტრულადა.

აბა, ჰე, ჰირნახულებო! წინ, წინ!
მოგროვდით ფრონტებზე,
მალე ყინულიც დადნება,
გადმოანათებს მზე მთებზე.

საბოსტნე მიწა დავბაროთ,
დავთესოთ კამა, ქინძები
ჩამოუქროლებს ალალი
გაჭკრება მამლაყინწები.

დათვები ადის ალგებზე,
მაგრამ უტყდებათ ტოტები,
არწივი როცა ფრთებს გაშლის,
რას იქმს ღამურა, კოტები?!

შექანჯალეზული.



გურული სცენა.

კაპიტონა! გამარჯობა ბიჭო ესიკავ.

ესიკა! ღმერთმა გაგიმარჯოს ჩემო კაპიტონა! რავე გაკვირებული მიმხერი?

კაპიტონა! მართლა ქე გამაკვირე ამ დილას ესიკავ! კითხვა მინდოდა და ქე მომასწარი... საით მიხვალ კაცო ამ დაქვირთული ცხენით ამ ალიონზე, რა მიგაქ მაგ ტომრებით! პარასკევობაზე თუ მივა მეთქინ ვიფიქრე ერთი პირი, მარა დღეს ხომ ხუთშაფათია. გასაყიდი ხომ არ მიგაქ რამე კაცო?

ესიკა! რას შეხუმბობები თუ ღმერთი გწამს, როის იყო მე რომ გასაყიდი რამე შექონდა, მისდღემში ყველაფერი საყიდელი მაქ. რავე, არ იცი კაცო რაშია საქმე!? ქურში ხომ არ გძინავს შენ ოჯახ აშენებულო! რა მიმაქ და კაი ერთი ფუთი ფქვილი, ერთი ბათმანი გაცხვილი ღომი, ერთი ფუთი კართოფილი, პაწაი თხილი, ისე ნიგოზი და რაცხა—რაცხები.

კაპიტონა! ახირებული კაცი ხარ ღმერთმანი ესიკავ! რუმ გადამადრისე გულზე, რეიზა არ იტყვი ვისთან მიგაქ მაი ძღვენი!

ესიკა! უფუშენდებიან ოჯახი, მე ძღვენი არაკაცს არ მულტანა! შენგან არ მიკვირს კაპიტონა მაგი? განვითარებული კაცი გქვია, რომ კაცმა თქვას ახლა და, მაგი რეიზა არ იცი, სათ მიმაქ ავი ქინახული? განგებე არ გითხარი ამდენ ხანს, იქნება მიხვდეს მეთქინ, ახლა კი უნდა გითხრა: სათ მიმაქ და თემის კანცალარიისზე! კაცო ფრონტიზა და ჯარებიზა რუმ ვაგროვებთ ქინახულს, გაგაფიწყდა?


კაპიტონა! ოი, დასწყველოს ღმერთმა! რავე გამაფიწყდა! გამაფიწყდა კი არა, მაგაზე ვფიქრობ სულ მარა, კაცო, ავი დაქვირთული ცხენი რომ დავინახე, კი ვერ შევიფიქრე, ისე გადმეფარა რაცხა კუხაზე, მარა უფრო იმიზა ვერ მოვედი გონში, რომე შენ ამდენხანს მიიტანე მეგონა ჯარის გასავზანი სიმინდი... ყოჩად ბიჭო, ესიკავ, მაღადეც ძმო, ძან დაგიკვირთავს ცხენი, ასე უნდა მე და ჩემმა მზემ! ქე არ გაკვირდი! მარა იმიზა ვერ შევიფიქრე, რომ ვერ წამომდგინა, თუ ამდენს გვიმეტებდი ავი ხელოვალე კაცი ჯარიზა; რომ დავინახე ავი დაქვირთული ცხენი, ვიფიქრე, ესიკას რაცხა ძან ვაქვირებია და საცხა გასაყიდათ მიმაქ სიმინდი მეთქინ.

ესიკა! ისე გუუქვიგროს მამა ზეციერმა ღმერთმა ჩვენს მტრებს და ავის მდომელს მე რუმ გაკვირებული ვარ ყოველთვინ. სიმინდი ჩემს სიცოცხლეში საყიდელი მაქ; მარტამდი და ხან აპრილამდი თუ მიმყვება, კაი ბედნიერება არის იგი ჩემდა, მარა, რაეჭნა, ასე მივათრევე მუდამ ამ გაძალღებულს სულს, მარა მინც გულს არ ვიტყვ, კაი დროი რომ დგება, ავი ძან მიხარია, და არ მინდა მტრებმა ძალით წაგვახთიროს... ხო, და! რაც მართალია, მართალია ძმავ, სულს არ დევნო შურავ, ოლონდ ავი ჩვენი ქვეყანა არ ვნახო აფორიაქებული, საქართველო კი მინდა ძამიავ, მტრის ჯინზე გადარჩეს დანგრევას. სულს ამევიძრობ და ჩვენ ჯარს აფერი არ მინდა მოაკლდეს... იმ გიღლის კუშტულა ქუდიან, გაწითლებულ, დამწვეულ რუსებს ნუ დამანახებ აქანე და ცოლშვილს გავყიდი და რაც შემოძლია, ისე დევნებარები ჩვენს ჯარს. მართალი გითხრა, აბა, სად მაქ გასამეტებელი ქინახული, ჩემი ბაღნები ზაფხულში ტყემალით, მარწყვით და ბალით ირჩენენ თავს, მარა ჩვენი ჯარიზა დაეზოგავ რამეს?! მე სახლში ვიყო არხეინად და იგინი იქინე ცოც იაკოპებში იჯდენ და საქმელი რუმ მიაკტეს, რაფერ ეჩხუბონ იმ აუარებელ მტრებს, მამლაყინწებივით რომ მოღგომიან საქართველოს ყოველ მხრით და კუჭი უკაცანობენ. აი, გაუწყურეს ივენს ღმერთი, რა ოხერი ხალხი ივენია, ამდენხანს იხლაფორთეს; შიგნით მუეაწყობთ ვადატრიალეხას და ივენს გარედან შამევიპაიჯებთო, მარა, იმდენი ტყვინი ვადუტრიალდეს ივენს, რამდენი ივენმა ვერ გადაგვატრიალონ...

ქვაბლის პოლეტარები გინდა ვადატრიალდენ და გინდა ვადმოტრიალდენ. და სხვაი აღარავინ უჯერის ახლა მაგენს... სულ ასე ფუჭუნობენ: აი, ერთი კვირე და ყველაფერი ჩვენ ხელში იქნებაო, მარა ბარე ათასი კვირე გამაფიარს და მაგენის თავი შერცხვა იმის მეტი, რაც მაგენმა ჩვენში ვეფერი ვერ ქნან, ვერაკაცს ვერ დააჯერებენ და ვერც შეაშინებენ აწი მაგენი... ჩვენი სკვინალოე, შრინგი ბიჭები კარგად გვეავდეს ჯარში, ივენს ნუ მუამშივებთ და ნუ შეეაცვივებთ და მაგენს დედას უტირებენ სულ თუ გაბედეს და დეიწყეს მისებურათ... ხო, და, ამიზა, ჩემო კაპიტანა, ამიზა არ მშურს არაფერი, ოლონდ გიღლის კუშტულეებიანი არ დევიინახო ჩვენში.

ლუკაიეს ობოლი.





ქერივი. ხალხნო, დაცხო, წაიდეთ ჩემი წილიც! ქერივი რომ ვარ განა იმისთვის უნდა შეგვრცხვე თემის წინაშე! ჩემი ერთად-ერთი ბაჭი ვარში არ მაიდექს, გვარდაში ჩაეწურა, ფრონტს სდარაჯობს... წაიდვო, თქვენი ჭირიმეთ, სუ შემარცხვენთ; მუც ქართუელი ქალი ვარ, ეს ქვეყანა ჩემივე არის, იწამეთ დმერთი...

„ეზმაკის მატრასი“

თუეში ღირს 200 მან., ცვალკე ნომერი ვუეღვან 50 მან.

ქურნალში დაიბეჭდება **განცხადებები** —
 რედაქციაში შეიძლება შექმნა დღემდე გამოსული ნომრების. სელის მომწერ-
 ლებს ფული შემდეგ მისაძმართით უნდა გამოვხავენონ: თუილისი, რუსთაველის პროს-
 ზექტი, № 24. ეშმაკის მთრასისათვის. რედაქცია და კანტორა ღიან 9—2 საათიმდე.